გაცნობის თარიღი: 19/02/2018 17:

გაგზავნის თარიღი : 20/11/2017

გადაწყვეტილება № AR1219390MS

განმარტებითი ბარათის ველი არ არის გახსნილი ამიტომ განმარტებით ბარათს გიგზავნიტ შეტყობინების სახით. 2017 წ-ის 14 აგვისტოს, სსიპ ,, აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახალმწიფო სამხატვრო აკადემიის განაცხადი- სარეაბილიტაციო სამუშაოების ნებართვასა და შეთანხმებული პროექტის ცვლილებაზე, განხილულ იქნა სსიპ- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ. აღნიშნული განაცხადის დასაკმაყოფილებლად არქიტექტურის სამსახურმა დამატებით მოითხოვა სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენლების რეკომენდაციების გათვალისწინება. კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს რეკომენდაციები მოიცავდა შემდეგი სახის შენიშვნებს: - გვერდითი და ეზოს ფასადის სახე გამეორდეს საარქივო მასალაზე დაყრდნობით (აივნების მოწყობით კარნიზების აღდგენით; ბეშთაგის ფასადის, ვიტრაჟების ფორმისა და ნახატის აღდგენით: ბეშთაგის კარნიზის გამეორებით.) - მიზანშეწონილია ბეშთაგის ფასადზე არსებული ნახატების აღდგენა. წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციაში გაათვალისწინებულია აღნიშნული რეკომენდაციები. რეკომენდაციები, ცვლის ფასადები გადაწყვეტებს და ზოგად მეთოდოლოგიას, კერძოდ: მოიაზრებს, ფასადების თ-ა, 12-1 ის სრულ რეკონსტრუქციას საარქივო დოკუმენტაციასა და საარქივო ფოტოებზე დაყრდნობით. ცვლილებები საპროექტო დოკუმენტაციაში წარმოდგენილია: თ-ა ღერძზე არსებული ფასადზე და შიდა ეზოს ფასადზე. ფასადები გრიბოედოვის ქუჩის მხარეს (ფასადი 1-12 ღერძზე) და მიმდებარედ გვერდითი ფასადი (ფასადი ა-თ ღერძზე) შეთანხმებულია და წარმოდგენილია 2016 წ-ს საპროექტო წინადადებაში. ამ ეტაპზე წარმოდგენილი ფასადები მოიცავს შემდეგი სახის ჩარევებს: ფასადი თ-ა ღერძზე. არსებულ ფასადზე კონსტრუქციული გამაგრებისას მოხსნილი ნალესობის აღდგენას, კარფანჯრების ხელახლა მოწყობას, არსებული ლითონის ნაჭედი აივნების აღდგენას. ფასადის გადაწყვეტა მოიაზრებს მის 2015 წ-მდე მოღწეული მდგომარეობით აღდგენას. ძეგლის მრავალშრიანი კონტექსტიდან გამომდინარე აღნიშნულმა მონაკვეთმა 1902 წ-ის ს. კლდიაშვილის გადაკეთებისას შეიცვალა სახე და 1856 წ-ის შემდგომ მოწყობილი აივნები მოიხსნა. ამჟამად აღნიშნული მონაკვეთის ფასადის გადაწყვეტა მოიაზრებს ჩვენამდელ მოღწეული ფასადის შენარჩუნებას, იმ სახით როგორიც 1902-ის გადაკეთების შემდგომ ჩამოყალიბდა. (აღნიშნული გადაკეთება გაზრებული იყო და ფასადის ქობულაშვილების ნაწილის ევროპულ ყაიდაზე გადაკეთებას მოიაზრებდა.) ასევე გასათვალისწინებელია მე-2 ღერძზე განთავსებული კედლის ჯდენითი დეფორმაციები, რმოლეზეც დამატებით დატვირთვების დამატება მიზანშეწონილი არა. შიდა ეზოს ფასადები: აღნიშნული მონაკვეთების საპროექტო წინადადებაში გათვალისწინებულია მეთოდური საბჭოს რეკომენდაციები: ბეშთაგზე, პირველ სართულზე აღდგა შეისრული თაღი და ლუნეტები. მეორე სართულზე მოეწყო ვიტრაჟი რომელიც მეტ-ნაკლებად იმეორებს აუტენტური ვიტრაჟის კომფიგურაციასა თუ ნახატს. ე-ღერძზე განთავსებული კედელზე ღიობების გახსნას, სარქივო დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ერკერის აღდგენას, კონსოლზე გამოსული ღია აივნების მოწყობას. ვ-ღერძზე განთავსებული კედელზე 2-5 ღერძებს შორის აივნების მოწყობას, საარქივო დოკუმენტაციაზე დაყრდნობით. არსებულ ფასადზე კონსტრუქციული გამაგრებისას მოხსნილი ნალესობის აღდგენა. შენობა ადაპტირდება შშმ პირებზე. სარდაფში -2.55 განთავსდება საგამოფენო სივრცეები. აღნიშნულ სივრცეში წვდომა, ფასადის მხრიდან, შესაძლებელი იქნება კიბით და ბაქანლიფტით. შენობაში, გრიბოედოვის მხრიდან, პარადული კიბის გარდა აღდგა 7-8 ღერძებს შორის არსებული კარი რომლის სივრცეც გამჭოლია და აკავშირებს შიდა ეზოს. პირველ სართულზე, შენობის მარჯვენა ბლოკში, განთავსდება სასადილო დარბაზები და სამზარეულო, ასევე აუდიტორია. ხოლო რაც შეეხება ცენტრალურ და მარცხენა ბლოკს, იგი დაეთმობა ბიბლიოთეკისა და ფონდის საცავებს. ასევე მოეწყობა მაღაზია გრიბოედოვის ქუჩის მხარეს. +2.20 ნიშნულზე მდებარე სართულის უდიდესი ნაწილი დაეთმობა აუდიტორიებს, ხოლო მარცხენა ბლოკში განთავსდება ადმინისტრაცია. +6.30 ნიშნულზე მარჯვენა ბლოკში განთავსდება აუდიტორიები და საგამოფენო დარბაზები. შუა, ცენტრალურ ნაწლში, სარკეებიან დარბაზებში აკადემიის მუზეუმი. მარცხენა ბლოკში განთავსდება სააქტო დარბაზი და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზები. +10.65 ნიშნულზე მარცხენა ბლოკში, არსებული სივრცეებში განთავსდება

აუდიტორიები და მათთვის დამხმარე ტექნიკური ოთახები. შუა, ცენტრალურ ნაწილში განთავსდება საგამოფენო დარბაზი. შპს შოუთაიმი განტავსებულ;ია დროებით შენობაში რომლის ხელსეკრულების ვადაა 08.02.2018 იხილეთ თანამესაკუთრეთა ველში ატვირთული ხელშეკრულება.